21. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
22. ცაგერის რაიონული სასამართლო
23. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ქედის მუნიციპალიტეტში

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვასილ მშვენიერაძე**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,**
**ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ქეთევანი კირიაკიდის განწესების შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი რაიონული (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (38 ვაკანსიაზე).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდნენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირები, მათ შორის - ქეთევანი კირიაკიდი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოვახდინე კანდიდატის შეფასება. შეფასებისას ვიხელმძღვანელე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანონით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაციისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნის გაცნობით, ასევე კანდიდატის საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილებით.

კანდიდატთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ ქეთევან კირიაკიდი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, კანდიდატი ასევე შევაფასე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებით: „ა" სამართლის ნორმების ცოდნა; „ბ"

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; „გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები; „დ“ პროფესიული თვისებები; „ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; „ვ“ პროფესიული აქტივობა. მითითებული მახასიათებლების მიხედვით, ქეთევან კირიაკიდს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად მივანიჭე 87 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 12 დეკემბრის №1/120 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა კანდიდატი ქეთევან კირიაკიდი. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა მითითებული კანდიდატის თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ 3 წლის ვადით განწესების საკითხი.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართულ ღია კენჭისყრაზე თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ქეთევანი კირიაკიდის 3 წლის ვადით განწესების გადაწყვეტილებას მხარი დავუჭირე, ვინაიდან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

**ვასილ მშვენიერაძე**

24 დეკემბერი, 2024 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

THE HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

ირაკლი ზონდარენკო

# ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა
24.12.2024

მოსამართლეობის კანდიდატი ქეთევანი კირიაკიდი დაინიშნოს

1. ამბროლაურის რაიონული სასამართლო
2. ახალქალაქის რაიონული სასამართლო
3. ახალციხის რაიონული სასამართლო
4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
7. ზუგდიდის რაიონული სასამართლო
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
10. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო
11. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ახმეტის მუნიციპალიტეტში
12. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ახალგორის მუნიციპალიტეტში
13. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე თიანეთის მუნიციპალიტეტში
14. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში
15. სამტრედიის რაიონული სასამართლო
16. სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე აბაშის მუნიციპალიტეტში

17. სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში
18. ფოთის საქალაქო სასამართლო
19. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
20. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
21. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
22. ცაგერის რაიონული სასამართლო
23. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ქედის მუნიციპალიტეტში

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს**

**ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**ქეთევან კირიაკიდის თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ განწესების შესახებ კენჭისყრის დასაბუთება**

**24 დეკემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის 1/115 განკარგულებით, დაიწყო რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 38 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა, აღნიშნულ პროცედურაში სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა **ქეთევან კირიაკიდი.**

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, მივედი იმ დასკვნამდე, რომ კანდიდატი - **ქეთევან კირიაკიდი** სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი, ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით - 87 ქულით.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით განხორციელებული შეფასებების შედეგად საბჭოს ყველა წევრმა მიიჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმში კანდიდატმა დააგროვა 1143 ქულა, რაც ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის 1300 (87,92) პროცენტია.

მასთან ჩატარებული გასაუბრების, საბჭოს წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების გათვალისწინებით და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ **ქეთევან კირიაკიდს** გააჩნია სამოსამართლო საქმიანობის წარმატებით და ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის აუცილებელი უნარები და შესაძლებლობები.

მიმაჩნია. რომ **ქეთევან კირიაკიდს** შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს მოსამართლის რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი დავუჭირე **ქეთევან კირიაკიდის** თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ 3 წლის ვადით განწესების გადაწყვეტილებას.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ირაკლი ბონდარენკო**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

THE HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

გიორგი გზობავა

# ბიულეტენი

| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა<br>24.12.2024 |
|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი ქეთევანი კირიაკიდი დაინიშნოს |

1. ამბროლაურის რაიონული სასამართლო
2. ახალქალაქის რაიონული სასამართლო
3. ახალციხის რაიონული სასამართლო
4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
7. ზუგდიდის რაიონული სასამართლო
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
10. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო
11. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ახმეტის მუნიციპალიტეტში
12. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ახალგორის მუნიციპალიტეტში
13. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე თიანეთის მუნიციპალიტეტში
14. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში
15. სამტრედიის რაიონული სასამართლო
16. სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე აბაშის მუნიციპალიტეტში

17. სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში
18. ფოთის საქალაქო სასამართლო
19. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
20. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
21. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
22. ცაგერის რაიონული სასამართლო
23. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ქედის მუნიციპალიტეტში

HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**გიორგი გზობავა**

**„24“ დეკემბერი, 2024 წელი** **თბილისი**

თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე **ქეთევან კირიაკიდის** განწესების შესახებ გადაწყვეტილების

**დასაბუთება**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, 2024 წლის 24 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე **ქეთევან კირიაკიდის** დანიშვნას.

ჩემ მიერ აღნიშნული კანდიდატის მხარდაჭერის გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის - **ქეთევან კირიაკიდის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ კანდიდატი - **ქეთევან კირიაკიდი** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო კანონით განსაზღვრული **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით, **ქეთევან კირიაკიდი** ჩემ მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით, კერძოდ - **86 (86%)** ქულით *(იხ. ჩემი 2024 წლის 5 დეკემბრის შეფასება)*.

**ქეთევან კირიაკიდის** კანდიდატურის განწესებაზე ჩემ მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ასევე გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმა მიიჩნიეს, რომ კანდიდატი **ქეთევან კირიაკიდი** ასევე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით კანდიდატი შეფასდა **1143 ქულით**, ანუ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის **87,92%**-ით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია რა, რომ კანდიდატი - **ქეთევან კირიაკიდი** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს** და მისი კანდიდატურა სრულად შეესაბამება საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას, მხარი დავუჭირე **ქეთევან კირიაკიდის** თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე განწესებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი:

გიორგი გზობავა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ტრისტან ზენაშვილი

# ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა
24.12.2024

მოსამართლეობის კანდიდატი ქეთევანი კირიაკიდი დაინიშნოს

1. ამბროლაურის რაიონული სასამართლო
2. ახალქალაქის რაიონული სასამართლო
3. ახალციხის რაიონული სასამართლო
4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
7. ზუგდიდის რაიონული სასამართლო
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
10. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო
11. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ახმეტის მუნიციპალიტეტში
12. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ახალგორის მუნიციპალიტეტში
13. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე თიანეთის მუნიციპალიტეტში
14. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში
15. სამტრედიის რაიონული სასამართლო
16. სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე აბაშის მუნიციპალიტეტში

17. სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში
18. ფოთის საქალაქო სასამართლო
19. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
20. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
21. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
22. ცაგერის რაიონული სასამართლო
23. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ქედის მუნიციპალიტეტში

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

## თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ქეთევან კირიაკიდის განწესების შესახებ გადაწყვეტილების

## დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის N1/115 განკარგულების საფუძველზე დაიწყო რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის N1/119 განკარგულებით კანდიდატად დარეგისტრირდა ქეთევან კირიაკიდი.

კანდიდატების შესახებ კანონით დადგენილი წესით მოძიებული სანდო ინფორმაციის საფუძველზე და მათი საჯარო მოსმენის შედეგად 2024 წლის 9 დეკემბერს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატები, მათ შორის ქეთევან კირიაკიდი, რის შედეგადაც გავაკეთე დასკვნა, რომ ქეთევან კირიაკიდი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ქეთევან კირიაკიდის ორგანული კანონის $36^4$ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში მიიღო მაღალი - 90 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 90%-ს შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 12 დეკემბრის N1/120 განკარგულებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა კანდიდატი ქეთევან კირიაკიდი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^{1}$ მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესის თანახმად, 2024 წლის 24 დეკემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც გადაწყდა მითითებული კანდიდატის თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლედ 3 წლის ვადით განწესების საკითხი.

კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, ქეთევან კირიაკიდი შევაფასე სრულად დადებითად და მაღალი ქულებით. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა წევრებმაც მიიჩნიეს, რომ ქეთევან კირიაკიდი სრულად აკმაყოფილებს მოსამართლეობისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც მხარი დავუჭირე - ქეთვანი კირიაკიდის თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესების გადაწყვეტილებას.

**ტრისტან ბენაშვილი**

**24 დეკემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ზურაბ გურასპაშვილი

# ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა
24.12.2024

მოსამართლეობის კანდიდატი ქეთევანი კირიაკიდი დაინიშნოს

1. ამბროლაურის რაიონული სასამართლო
2. ახალქალაქის რაიონული სასამართლო
3. ახალციხის რაიონული სასამართლო
4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
7. ზუგდიდის რაიონული სასამართლო
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
10. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო
11. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ახმეტის მუნიციპალიტეტში
12. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ახალგორის მუნიციპალიტეტში
13. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე თიანეთის მუნიციპალიტეტში
14. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში
15. სამტრედიის რაიონული სასამართლო
16. სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე აბაშის მუნიციპალიტეტში

17. სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში
18. ფოთის საქალაქო სასამართლო
19. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
20. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
21. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
22. ცაგერის რაიონული სასამართლო
23. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ქედის მუნიციპალიტეტში

**საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მდივანს, ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ქეთევან კირიაკიდის განწესების შესახებ გადაწყვეტილების**

**დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

**24 დეკემბერი, 2024 წელი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაიწყო საქართველოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის 38 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსი, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად დარეგისტრირდა - ქეთევან კირიაკიდი.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $34^{1}$ მუხლის მე-11 პუნქტით და ამავე ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

კანდიდატი ქეთევან კირიაკიდი შევაფასე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 4 (ოთხი) მახასიათებლის მიხედვით, ასევე, ამავე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე მისი კეთილსინდისიერების შესახებ შევადგინე საბოლოო დასკვნა, რომლის მიხედვითაც დადასტურებულად მივიჩნიე, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

ქეთევან კირიაკიდი ასევე შევაფასე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 6 (ექვსი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის $35^{1}$ მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით. კანდიდატ ქეთევან კირიაკიდის თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებებიდან გამომდინარე, ჩემ მიერ მინიჭებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 89 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 12 დეკემბრის 1/120 განკარგულებით აღნიშნული პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა - ქეთევან კირიაკიდი.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატ ქეთევან კირიაკიდის კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრი მიიჩნევს, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, მის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1143 ქულა, რაც მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (1300) 87,92 პროცენტია.

2024 წლის 24 დეკემბერს მითითებულ კანდიდატთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, მისი მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საკითხის გადასაწყვეტად. მივიღე გადაწყვეტილება მხარი დავუჭირო თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ქეთევან კირიაკიდის განწესებას, ვინაიდან, შეფასებების შედეგების ანალიზისა და მოსამართლეობის კანდიდატთან გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ მას გააჩნია ყველა აუცილებელი პიროვნული და პროფესიული თვისება, რათა სრულფასოვნად განახორციელოს მოსამართლის უფლებამოსილება.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ზურაბ გურასპაშვილი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

THE HIGH COUNCIL OF JUSTICE OF GEORGIA

ლევან ნემსაძე

# ბიულეტენი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის კენჭისყრა
24.12.2024

მოსამართლეობის კანდიდატი ქეთევანი კირიაკიდი დაინიშნოს

1. ამბროლაურის რაიონული სასამართლო
2. ახალქალაქის რაიონული სასამართლო
3. ახალციხის რაიონული სასამართლო
4. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
5. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
6. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
7. ზუგდიდის რაიონული სასამართლო
8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
9. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
10. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო
11. თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ახმეტის მუნიციპალიტეტში
12. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ახალგორის მუნიციპალიტეტში
13. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე თიანეთის მუნიციპალიტეტში
14. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში
15. სამტრედიის რაიონული სასამართლო
16. სენაკის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე აბაშის მუნიციპალიტეტში

17. სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში
18. ფოთის საქალაქო სასამართლო
19. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
20. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
21. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია
22. ცაგერის რაიონული სასამართლო
23. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ქედის მუნიციპალიტეტში

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ლევან ნემსაძე**

**მცხეთის რაიონული სასამართლოს თიანეთის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ქეთევან კირიაკიდის განწესების შესახებ გადაწყვეტილების**

## დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის N1/115 განკარგულების საფუძველზე დაიწყო რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა. აღნიშნულ პროცედურაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდა ქეთევან კირიაკიდი.

აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) შესაბამისად, შევადგინე პროცედურაში მონაწილე ყველა კანდიდატის, მათ შორის ქეთევან კირიაკიდის შეფასების დასაბუთება. აღნიშნული დასაბუთება დაეყრდნო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ორგანული კანონის საფუძველზე კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნას და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილ თვისებებსა და მახასიათებლებს. ინფორმაციის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნიე, რომ ქეთევან კირიაკიდი ორგანული კანონით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიმართ უნდა შეფასდეს დადებითად, შესაბამისად გავაკეთე დასკვნა, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას კანდიდატს, ორგანული კანონის თანახმად, თითოეულ კომპონენტში მივანიჭე შესაბამისი ქულა, რის შედეგადაც მან ჯამში დააგროვა - 86 ქულა, ხოლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის შეფასების შედეგად შემდგარი შემაჯამებელი ოქმის მიხედვით კანდიდატმა დააგროვა 87.92 ქულა, რაც ორგანული კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 87.92% შეადგენს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 12 დეკემბრის N1/120 განკარგულებით რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებული კონკურსის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 28 კანდიდატი, მათ შორის ქეთევან კირიაკიდი.

მიმაჩნია, რომ კანდიდატს მისი ცოდნის, კომპეტენციის, პროფესიული გამოცდილების, პროფესიული თვისებების, გამოვლენილი უნარ-ჩვევებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით, შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს მოსამართლის რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.
კანდიდატის მიმართ არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებს მის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ ღია კენჭისყრაზე მხარი დავუჭირე ქეთევან კირიაკიდის მცხეთის რაიონული სასამართლოს თიანეთის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესების გადაწყვეტილებას.

**ლევან ნემსაძე**

**24.12.2024**